ელექტრონული ტენდერის დოკუმენტაცია

კვების პროდუქტ(ებ)ის

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

CPV – 03200000

2016 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვების პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და ,, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგანეტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან/გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და ძირითადი პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის და განმარტებებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ლევან გაგუა ტელ: 2200-122 (701); 577 50 04 09; procurement@scs.gov.ge; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა N12; ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი პეკინის N41, მე-3 სართული.

2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, ტექნიკური სპეციფიკაცია, განზომილება, სავარაუდო რაოდენობა, ტენდერის ღირებულება

N	საქონელის დასახელება	ტექნიკური სპეციფიკაცია	განზ.	რაოდენობა	ტენდერის სავარაუდო ღირებულება (ლარი) დღგ–ს ჩათვლით
1	კარტოფილი	მშრალი, საღი, სუფთა, ღივის გარეშე. არ უნდა აღენიშნებოდეს ბოლქვის მექანიკური, ბაქტერიოლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები. არ უნდა იყოს ტკბილი ჯიშის და მოყინული. თითოეულ მოწოდებულ პარტიაში კარტოფილის ბოლქვის მინიმალური დიამეტრი უნდა იყოს არანაკლებ 5 სმ–ისა. დასაშვებია საერთო წონასთან შეფარდებით არაუმეტეს 20%-ისა ბოლქვის დიამეტრი იყოს 4 სმ-დან 5 სმ-მდე. დაფასოებული მოთხოვნის შესაბამისად 20-50 კილოგრამიან ბადე-ტომრებში. მიწის შემცველობა არ უნდა იყოს საერთო წონის 1%-ზე მეტი. გამოსავლიანობა პირველადი დამუშავების შემდეგ - არანაკლებ 70%. პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	470,000	
2	კომბოსტო	მშრალი, მკვრივი, საღი, სუფთა, მოყინვის გარეშე. არ უნდა აღენიშნებოდეს მექანიკური, ბაქტერიოლოგიური, სოკოვანი და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები. თითოულის მინიმალური დიამეტრი არანაკლებ 14სმ-ისა. საერთო წონასთან შეფარდებით არაუმეტეს 20%-ის დასაშვებია დიამეტრი იყოს 12 სმ-დან 14 სმ-მდე. უნდა იყოს დაფასოებული 50 კგ-მდე ტომრებში. პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	55,000	
3	ჭარხალი	მშრალი, ნაკლებადძარღვიანი, მკვრივი, მუქი წითელი ფერის. არ უნდა აღენიშნებოდეს მექანიკური, ბაქტერიოლოგიური, სოკოვანი და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები. ბოლქვის დიამეტრი 5 სმ-დან 18სმ-მდე. დაფასოებული 30 კგ-მდე ბადე-ტომრებში. მიწის შემცველობა არ უნდა იყოს საერთო წონის 1%-ზე მეტი. პროდუქტის უვნებლობა ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	32,000	
4	სტაფილო	მშრალი, საღი, მოგრძო ფორმის, მკვრივი, არ უნდა აღენიშნებოდეს მექანიკური, ბაქტერიოლოგიური, სოკოვანი და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები. სიგრძე 10-სმ-დან - 25 სმ-მდე, ბოლქვის მაქსიმალური დიამეტრი უნდა იყოს 2.5 სმ-დან 5 სმ-მდე. მიწის შემცველობა არ უნდა იყოს საერთო წონის 1%-ზე მეტი. დაფასოებული 30 კგ-მდე ბადე-ტომრებში. პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	67,000	**1,218,725**
5	ხახვი	მკვრივი, მშრალი, საღი, სუფთა, ღივის გარეშე. არ უნდა აღენიშნებოდეს მექანიკური, ბაქტერიოლოგიური და სოკოვანი დაზიანება. მინიმალური დიამეტრი არანაკლებ 5 სმ. საერთო წონასთან შეფარდებით არაუმეტეს 20%-ის დასაშვებია ბოლქვის დიამეტრი 4 სმ–დან 5 სმ-მდე. დაფასოებული 50 კგ-მდე ბადე-ტომარაში. პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	77,000	
6	ნიორი	მკვრივი, მშრალი, საღი, ღივის გარეშე. არ უნდა აღენიშნებოდეს მექანიკური და ბაქტერიოლოგიური დაზიანება. დაფასოებული მოთხოვნის მიხედვით 1 - 10 კილოგრამიან ბადე-ტომარაში, მუყაოს ყუთებში ან/და 2 კგ-მდე პოლიეთილენის პარკებში. პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	7,000	
7	კიტრი	მკვრივი, მშრალი, საღი, გადაუმწიფებელი, სიმწარის და შუაგულში სიცარიელის გარეშე. მექანიკური და ბაქტერიოლოგიური დაზიანების გარეშე. ზომა: სიგრძე 15სმ-დან 20 სმ.-მდე, დიამეტრი: 3სმ-დან 5სმ-მდე. საერთო წონასთან შეფარდებით არაუმეტეს 20%-ის დასაშვებია სიგრძე 12 სმ-დან 15 სმ-მდე. დაფასოებული მოთხოვნის მიხედვით 10-50 კგ-მდე ტომრებში, პოლიეთილენის პარკებში ან ყუთებში. მოწოდება სეზონურად. პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	28,000	
8	პომიდორი	საღი, მკვრივი, მწიფე, წითელი ან/და ვარდისფერი, სიმწვანის გარეშე. მინიმალური დიამეტრი არანაკლებ 5 სმ. მოგრძო ფორმის შემთხვევაში დასაშვებია მინიმალური დიამეტერი არანაკლებ 4სმ. დაზეჟილეობის, მექანიკური და ბაქტერიოლოგიური დაზიანების გარეშე. დაფასოებული ყუთებში. მოწოდება სეზონურად. პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	18,000	

9	მწვანილი	ფოთლები მწვანე შეფერილობით, საღი (არ უნდა იყოს გაყვავილებული და გაყვითლებული), ფესვების გარეშე, მოკლე, წვრილი ღეროთი (ქვედა განშტოებიდან არაუმეტეს 12 სმ.), მშრალი, მექანიკური და ბაქტერიოლოგიური დაზიანების გარეშე. ოხრახუში, ქინძი, ნიახური, კამა - მოთხოვნის მიხედვით, რეჰანი, ტარხუნა - სეზონურად, მოთხოვნის მიხედვით. დაფასოებული ყუთებში. პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	40,000	
10	დაფნის ფოთოლი	ფოთოლი სუფთა, გამომშრალი, მექანიკური დაზიანებების გარეშე, შეფუთვა 1კგ.-მდე დაფასოებით. პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	40	
11	ბულგარული წიწაკა	მკვრივი, მშრალი, საღი, მექანიკური და ბაქტერიოლოგიური დაზიანების გარეშე. დაფასოებული ტომრებში ან ყუთებში. სიგრძე არ უნდა იყოს 8 სმ-ზე ნაკლები. პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	800	
12	ვაშლი	მწიფე, საღი, მავნებლების, ბაქტერიოლოგიური და მექანიკური დაზიანებების გარეშე, 30 კგ.-მდე ტარაში (ყუთი). თითოეული წონით 100-150 გრ. დასაშვებია საერთო წონასთან შეფარდებით არაუმეტეს 20%-ის იყოს წონით 80-100 გრ-მდე ან/და 150-180 გრ-მდე. მოწოდება სეზონურად. პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	115,000	
13	ლიმონი	მწიფე, საღი, ჭკნობის ნიშნების გარეშე, ყვითელი ან/და მოყვითალო შეფერილობის, სიგრძე 6-10სმ, დიამეტრი 4-7 სმ, მავნებლების, ბაქტერიოლოგიური და მექანიკური დაზიანებების გარეშე, 20კგ.-მდე ტარით. თითოეული წონით 50-80 გრ. პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	2,400	
14	ასკილი	კარგად გამომშრალი, ობისა და ნესტის გარეშე, მექანიკური და მავნებლებისგან დაზიანებების გარეშე, 1-3კგ.-მდე შეფუთვით. პროდუქტის უვნებლობა ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	კგ	40	
15	ენდრო	მცენარის ფესვი, კარგი შეღებვის უნარით, სუფთა, შეკრული კონებად, სიგრძე არაუმეტეს 20სმ. 1 ცალის(კონა) წონა 100-150გრ. პროდუქტის ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდააკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს	ცალი	1,000	

შენიშვნა: აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა იმავდროულად ნიშნავს, რომ პრეტენდენტი თანახმაა სატენდერო დოკუმენტაციის საქონლის ტექნიკური სპეციფიკაციის მოთხოვნების სრულად დაცვით განახორციელოს საქონლის მოწოდება. საქონლის ტექნიკური სპეციფიკაცია, თითოეული საქონლის მიხედვით, უცვლელად აისახება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

შენიშვნა: წარმოდგენილი პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, სტანდარტებს, სურსათის ეროვნულის ნორმებს და სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს (სანწდან 2.3.2.00-00), დაუშვებელია სახეობისათვის დამახასიათებელი დაავადების არსებობა. საქონლის ტრანსპორტირება და ეტიკეტირება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს.

სეზონური პროდუქციის სავარაუდო მიწოდების პერიოდები:
ბოსტნეულის და ხილის მოწოდების სეზონურობაში იგულისხმება
ქვემოთჩამოთვლილი შუალედები (+/- 5 დღე):
1. კიტრი - 01.06.2016 – 15.07.2016
2. პომიდორი 01.07.2016 – 15.07.2016
3. ტარხუნა 01.04.2016 – 15.07.2016
4. რეჰანი 01.07.2016 – 15.07.2016
5. ვაშლი 15.01.2016 – 15.04.2016
6. ენდრო 20.04.2015 - 01.05.2016

რაც შეეხება დღგ_ს თემას. აღნიშნული ტენდერის შედეგად მოსაწოდებელი საქონლის ფასი უნდა მოიცავდეს დღგ_ს, გარდა საქართველოში მოყვანილი პროდუქტებისა, რომლებიც კანონმდებლობით გათავისუფლებულია დღგ_საგან

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები:

3.1 **მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, **2016 წლის 15 ივლისის ჩათვლით,** შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. კვირაში 1-2 ჯერ, შეკვეთიდან 1-2 დღეში. პირველი მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში).

3.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის განმავლობაში არაუგვიანეს 18.00 სთ-ის.

3.3 სავარაუდო მიწოდების ადგილი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ბაზები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და შპს "სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის" საწყობი (33 ობიექტი): ქ. თბილისი (შემოგარენით), დაბა კოჯორი, დაბა ვაზიანი, დაბა კრწანისი, დაბა ბაზალეთი, ქ. მცხეთა, სოფ. საგურამო, სოფ. ნორიო, სოფ. ალგეთი, ქ. მარნეული, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, ქ. თელავი, ქ. ახალციხე, ქ. გორი (შემოგარენით), ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოსიაური.

3.4 აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა იმავდროულად ნიშნავს, რომ პრეტენდენტი თანახმაა სატენდერო დოკუმენტაციის მე-3 მუხლის მოთხოვნების სრულად დაცვით განახორციელოს საქონლის მიწოდება.

3.5 სატენდერო დოკუმენტაციის მე-3 მუხლში მითითებული საქონლის მიწოდების პირობები უცვლელად აისახება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

3.6 იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი თავის სატენდერო წინადადებაში მიუთითებს სატენდერო დოკუმენტაციის მე-3 მუხლისაგან განსხვავებულ, შემსყიდველისათვის უკეთეს საქონლის მიწოდების პირობას, ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში აისახება შემოთავაზებული პირობა.

3.7 ხელშეკრულბაში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია შეიცვალოს საქონლის მიწოდების პირობები, თუ ასეთი ცვლილება არ აუარესებს შემსყიდველის მდგომარეობას.

4 სატენდერო წინადადების ფასი.

4.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯი.

4.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

5. ანგარიშსწორების პირობები.

5.1 ანგარიშსწორება მოხდება შემდეგი წესით: ყოველი თვის 15 (თხუთმეტი) და 30 (ოცდაათი) რიცხვებში ”მყიდველი”, „გამყიდველს” გადაუხდის წინა (ბუღალტრული ურთიერთშედარებიდან შემდგომ ურთიერთშედარებამდე) პერიოდში მიწოდებული საქონლის ღირებულებას სრულად, აღნიშნულ თარიღებამდე 5 (ხუთი) დღით ადრე მხარეთა შორის ურთიერთშედარების აქტის გაფორმების შემთხვევაში და მოცემულ აქტში მითითებული დავალიანების შესაბამისად.

5.2 თუ მოცემული ანგარიშსწორების დღე(ებ)ი ემთხვევა არასამუშაო დღე(ებ)ს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

5.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

5.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ განიხილება.

6. პრეტენდეტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები / დოკუმენტები:

6.1 კომპანიის რეკვიზიტები (დანართი N1);

6.2 ფასების ცხრილი (დანართი N2);

6.3 საბანკო დაწესებულების მიერ პრეტენდენტზე გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერით დამოწმებული, ცნობა ფულადი ბრუნვის შესახებ მომსახურე ბანკ(ებ)იდან 2015 წლის 01 იანვრიდან ტენდერში წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე არანაკლებ ტენდერის სავარაუდო ღირებულების ოდენობით ან 300 000 (სამასი ათასი) ლარი, რომელიც უფრო მცირეა.

6.4 არანაკლებ 1 (ერთი) სარეკომენდაციო წერილი (დადებითი რეკომენდაცია) შემსყიდველი ორგანიზაციიდან მის მიერ ანალოგიური ***(იხ. შენიშვნა 1)*** საქონლის მიწოდების შესახებ. რეკომენდაცია(ებ)ში მითითებული უნდა იყოს პრეტენდენტის მიერ მიწოდებული საქონლის დასახელება და ღირებულება. რეკომენდაცია(ებ)ში მიწოდებული ანალოგიური საქონლის ჯამური ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ ტენდერის სავარაუდო ღირებულების ნახევარი ან 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარი, რომელიც უფრო მცირეა. საქონლის მიწოდება განხორციელებული უნდა იყოს ***2015 წლის 01 იანვრის შემდეგ.***

შენიშვნა 1: ანალოგიურ საქონლად ჩაითვლება სახელმწიფო შესყიდვევების სააგენტოს თავჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვების საყოველთაო კლასიფიკატორის ძირითადი CPV კოდით გათვალისწინებული ნებისმიერი ერთგვაროვანი საქონელი. ძირითადი CPV კოდის პირველი სამი ციფრი უნდა იყოს აღნიშნული ტენდერის (იხ. დოკუმენტაციის პირველი გვერდი) CPV კოდის პირველი 3 (სამი) ციფრის იდენტური.

7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

7.1 ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%_ის ოდენობით იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ღირებულება აღემატება 200 000 (ორასი ათასი) ლარს ან/და თუ პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად საბოლოოდ დაფიქსირებული ფასი 20%_ით ნაკლებია თავდაპირველ სავარაუდო ღირებულებაზე.
7.2 თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობად განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2.5 %.
7.3 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ **2016 წლის 15 სექტემბერი.**
7.4 გარანტია შესაძლებელია გაცემული იქნას, როგორც საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულებ(ებ)იდან, ისე სადაზღვევო კომპანიიდან.
7.5 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებამდე ან გაფორმების დღეს.
7.6 საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილია მყიდველის უფლება მიიღოს ხელშეკრულებასთან და საქართველოში მოქმე სტანდარტებთან თავსებადი პროდუქტი. საბანკო გარანტიის ამოქმედების წინაპირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტის 9.3 და 9.4 მუხლებში.

8. დამატებითი ინფორმაცია:
8.1 ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, პერიოდულად განხორციელდება საქონლის ნიმუშის აღება და აკრედიტირებულ ლაბორატორიაში შემოწმება. სინჯების აღებას დაესწრებიან ხელშეკრულების მხარეები. ლაბორატორიულ შემოწმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს აანაზღაურებს "გამყიდველი". ლაბორატორიული შემოწმების ოქმებში მითითებული მაჩვენებლებით უნდა დგინდებოდეს ხელშეკრულების ტექნიკური სპეციფიკაციით მოთხოვნილი მაჩვენებლები. პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი შესაბამისი სტანდარტებით განსაზღვრულ ხარისხის და უსაფრთხოების მაჩვენებლებს. ლაბორატორიული კვლევის ჩატარების შესახებ გამყიდველს ეცნობება წინასწარ წერილობით.
8.2 „გამყიდველს" ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შესაძლებელია მოეთხოვოს საქონლის შესაბამისობის სერთიფიკატ(ებ)ი (სტანდანტებისა და ნორმების მითითებით), რომელიც გაცემული უნდა იყოს საქართველოში აკრედიტირებული სერტიფიკაციის ორგანოს/ტესტირების ლაბორატორიის მიერ, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნას შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში.
8.3 „გამყიდველი" „შემსყიდველის" მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია ხელშკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში წარმოადგინოს დადგენილი წესით გაცემული ბიზნეს ოპერატორად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.
8.5 სატენდერო განცხადებაში მითითებული საქონლის რაოდენობები საორიენტაციოა და ემსახურება საქონლის ერთეულის ფასის გამოანგარიშებას, შემსყიდველს არ ეკისრება ვალდებულება შეისყიდოს საქონლის რაოდენობები რაც მითითებულია ფასთა ცხრილში.
8.6 აღნიშნული ტენდერისათვის და ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები გამორიცხავს ხელშეკრულების პირობების მისადაგებას ეროვნული ვალუტის გაუფასურების / ვალუტის კურსის მნიშვნელოვნად ზრდის გამო, ასეთ დროს ეროვნული ვალუტის კურისის გაუფასურებით გამოწვეული რისკი ეკისრება დაზარალებულ მხარეს, შესაბამისად აღნიშნული მიზეზით ხელშეკრულების პირობების შეცვლის და ახალ გარემოებებთან მისადაგების მოთხოვნა დაუშვებელია მხარეთათვის.
8.6 შემსყიდველს არ ეკისრება საქონლის სრულად შესყიდვის ვალდებულება.
8.7 პრეტენდენტის მიერ ელ. ტენდერში მონაწილეობის მიღება (წინადადების წარმოდგენა) ნიშნავს, რომ იგი სრულად ეთანხმება შემსყიდველის ელ. ტენდერის დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

8.8 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "მყიდველი"-სათვის.

8.9 იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში საბოლოო შეთავაზების ველში დაფიქსირებული ფასი არ ემთხვევა პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთულ ფასთა ცხრილის ჯამს, უპირატესობა მიენიჭება უმცირესს.

8.10 ფასების ცხრილში ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს არაუმეტეს მეათასედის სიზუსტით. იმ შემთხვევაში თუ ფასების ცხრილში დაფიქსირებულია მძიმის შემდეგ 3 (სამ) სიმბოლოზე მეტი, ერთეულის ფასად ჩაითვლება მხოლოდ მძიმის შემდეგ სამი სიმბოლო.

8.11 იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადების წარდგენა ხდება დღგ_ს გარეშე და თუ პრეტენდენტი ხელშეკრულების გაფორმებისას იქნება დღგ_ს გადამხდელი ხელშეკრულებაში დაფიქსირდება დღგ_ს შესაბამისი თანხა.

8.12 იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი აღნიშნული ტენდერით მოსაწოდებელი პროდუქციის წარმოებას ახოციელებს საკუთარ საწარმოში ან/და ქვეკონტრაქტორის საწარმოში საქართველოს ტერიტორიაზე, ხელეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ***<u>შესაბამისობის შეფასების აქტი (შემდგომში დასკვნა)</u>*** საკუთარი ან / და ქვეკონტრაქტორი საწარმოს შემოწმების შესახებ.

8.12.1 იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილ დასკვნაში დაფიქსირდება, რომ საწარმოს, სოფლის მეურნეობის სამინიტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს" 2014 წლის 6 ივნისის N214-9 ბრძანების მიხედვით, აქვს კრიტიკული ტიპის შეუსაბამობა შემსყიდველს უფლებამოსილება ენიჭება გაატაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები. დეტალური რეგულაცია განისაზღვრება ხელშეკრულებით.

დანართი №1

პრეტენდენტის რეკვიზიტები

1. პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
3. პრეტენდენტის იურიდიული/ფაქტიური მისამართი:
4. საიდენტიფიკაციო ნომერი:
5. პრეტენტენტის ტელეფონის ნომერი: ტელ: მობ:
6. ელექტრონული მისამართი (ელ. ფოსტა, ვებ. გვერდი):
7. საბანკო რეკვიზიტები:
    - ბანკის დასახელება:
    - ბანკის კოდი:
    - ანგარიშსწორების ანგარიში:

პრეტენდენტის ხელმოწერა, ბეჭედი

დანართი №2

N	საქონლის დასახელება	განზ.	რ-ბა	ერთ. ფასი (ლარი)	ჯამი	ჯამური ღირებულება (ლარი)

პრეტენდენტის
ხელმოწერა,

ბეჭედი

პროექტი

ხელშეკრულება № _____

ელექტრონული ტენდერი SPA00000000

CPV 00000000

ქ. თბილისი 2015 წლის ------ ----------

ხელშეკრულების მხარეები

შპს `სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა~ წარმოდგენილი მისი დირექტორის **მირანდა მანჯგალაძის** სახით, (შემდგომში მოხსენიებული, როგორც `მყიდველი"), ერთის მხრივ და შპს "----------" წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით (შემდგომში მოხსენიებული, როგორც `გამყიდველი") მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. მხარეთა ძირითადი შეთანხმების შესახებ (ხელშეკრულების საგანი)

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად „გამყიდველი" ვალდებულია `მყიდველს" პერიოდულად მიაწოდოს დანართი #1-ში აღნიშნული *(იწერება შესაბამის საქონელი)* (შემდგომში - საქონელი) `მყიდველისათვის" საჭირო რაოდენობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, ხოლო `მყიდველი" ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და ვადებში მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება.

1.2. `გამყიდველი~ ვალდებულია `მყიდველს~ მიაწოდოს საქონელი ამ ხელშეკრულების დანართი #1-ში აღნიშნულ მისამართ(ებ)ზე განთავსებულ ობიექტ(ებ)ზე, მიღებული შეკვეთებიდან გამომდინარე. ობიექტების ცვლილებების შემთხვევაში (გაზრდა ან შემცირება) `გამყიდველს" ეცნობება სულ მცირე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე.

1.3. საქონლის ფასი მითითებულია დანართ #1-ში და მოიცავს დანიშნულების ადგილამდე (ობიექტებამდე) ტრანსპორტირების ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

1.4 **ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 00000 (----------) ლარს.**

მუხლი 2. საქონლის შესაბამისობის შესახებ

2.1. „გამყიდველი"-ს მიერ „მყიდველისათვის" გადასაცემი საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ძირითადი მახასიათებლები და სხვა პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს, ნორმებსა და „გამყიდველის" მიერ ელექტრონული ტენდერი **SPA00000000** შემოთავაზებულ პირობებს.

2.2. "გამყიდველმა" "მყიდველს" უნდა გადასცეს საქონლის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში.

მუხლი 3. მხარეთა უფლებამოსილებებისა და მოვალეობების შესახებ

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით, „გამყიდველი" ვალდებულია საქონელი „მყიდველს" მიაწოდოს ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, „მყიდველისათვის" საჭირო რაოდენობით, ხოლო „მყიდველი" ვალდებულია მიიღოს წინასწარ შეკვეთილი საქონელი და მოახდინოს „გამყიდველთან" ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

3.2. „გამყიდველი" ვალდებულია მიაწოდოს საქართველოში არსებული მოთხოვნების შესაბამისად მარკირებული საქონელი.

3.3. „გამყიდველი" ვალდებულია დადგენილ ვადაში წარმოადგინოს მწარმოებლის მიერ გაცემული საბუთი (ხარისხის სერტიფიკატის, ლიცენზიის ასლები და სხვა შესაბამისობის დოკუმენტი), აუცილებლობის შემთხვევაში კი დაურთოს ისინი საქონელს.

3.4. „გამყიდველი“ ვალდებულია ხელშკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში წარმოადგინოს დადგენილი წესით გაცემული ბიზნეს ოპერატორად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3.5. „მყიდველი” ვალდებულია მიიღოს წინასწარ შეკვეთილი საქონელი, მიღების მომენტში შეამოწმოს საქონლის ხარისხი, შეფუთვა და გარეგანი იერსახე.

3.6. „მყიდველი” ვალდებულია `გამყიდველს” აუნაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად.

3.7. „მყიდველი“ ვალდებულია ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით „გამყიდველს” აცნობოს ობიექტების რაოდენობის გაზრდის ან შემცირების შესახებ.

3.8. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ურთიერთობიდან გამომდინარე უზრუნველყონ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, რაც გულისხმობს მათთვის ვალდებულებათა შესრულების შედეგად ცნობილი ინფორმაციის (ტექნოლოგიური ხასიათის საკითხები, საქმიანობის დეტალები, კომპანიის კონტრაგენტების ვინაობა, სქემები, და სხვა) გამჟღავნების დაუშვებლობას მესამე პირებისათვის.

3.9 იმ შემთხვევაში თუ “გამყიდველი“ აღნიშნული ხელშეკრულებით მოსაწოდებელი პროდუქციის წარმოებას ახოციელებს საკუთარ საწარმოში ან/და ქვეკონტრაქტორის საწარმოში საქართველოს ტერიტორიაზე, ხელეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს სოფლის მეურნეობის სამინისტრიოს სურსათის ეროვნულის სააგენტოს მიერ გაცემული ***შესაბამისობის შეფასების აქტი (შემდგომში დასკვნა)*** საკუთარი ან / და ქვეკონტრაქტორი საწარმოს შემოწმების შესახებ.

3.10 იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილ დასკვნაში დაფიქსირდება, რომ საწარმოს, სოფლის მეურნეობის სამინიტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ 2014 წლის 6 ივნისის N214-9 ბრძანების მიხედვით, აქვს კრიტიკული ტიპის შეუსაბამობა შემსყდიველს უფლებამოსილება ენიჭება გაატაროს ხელშეკრულების 10.7 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მუხლი 4. საქონლის მახასიათებლების შესახებ (ასორტიმენტი, რაოდენობა და ხარისხი)

4.1. „გამყიდველი” „მყიდველისათვის” საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს მყიდველისათვის საჭირო ოდენობით. საქონლის მწარმოებლის, ბრენდის ან/და მარკის ცვლილების შემთხვევაში „გამყიდველი” ვალდებულია წინასაწრ საქონლის მიწოდებამდე „მყიდველს” აცნობოს აღნიშნული ცვლილების თაობაზე წერილობით ან/და ელ. ფოსტის მეშვეობით.

4.2. „გამყიდველი” ვალდებულია მიწოდების დოკუმენტებში (ზედნადები) მიუთითოს მიწოდებული საქონლის დასახელება და ფასები.

4.3. „გამყიდველის” მიერ საქონლის ფაქტობრივი მიწოდებისას ვარგისიანობის დარჩენილი ვადა დარეგულირდეს დანართი N1_ის მიხედვით.

4.4. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები “მყიდველი”-სათვის.

4.5. მიწოდებული საქონლის დასახელება და რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს იმ ასორტიმენტს, რომელიც ნაჩვენებია მიწოდების დოკუმენტებში.

4.6. საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მწარმოებლის დეკლარირებულ სტანდარტებს, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებსა და `გამყიდველის” მიერ შემოთავაზებულ პირობებს.

4.7. „გამყიდველი” იძლევა გარანტიას, რომ, საქონლის „მყიდველი”-სათვის გადაცემის მომენტში, არის საქონლის კანონიერი მფლობელი და ასევე, რომ საქონელი არ არის დაგირავებული, დაყადაღებული, მესამე პირებს არ შეიძლება წარმოეშვათ რაიმე სახის პრეტენზია აღნიშნულ საქონელთან მიმართებაში.

4.8. „გამყიდველი” იძლევა გარანტიას, რომ საქონელი შეესაბამება უსაფრთხოების, სანიტარული ნორმების, შეფუთვის, მარკირების და ეტიკეტირების მოთხოვნებს, დადგენილს საქართველოს კანონმდებლობით და ასევე, რომ საქონელი იქნება მიწოდებული სათანადო მდგომარეობაში, შეფუთვა არ იქნება დაზიანებული, ხოლო წარწერები საქონელსა და ეტიკეტებზე იქნება კითხვადი.

4.9 დაუშვებელია მოსაწოდებელი პროდუქციის შეფუთვა მეორად ან/და განსხვავებული ბრენდის მქონე ტარაში.

მუხლი 5. მიწოდებისა და დოკუმენტების შესახებ

5.1. „გამყიდველი“ ვალდებულია ყოველი შეკვეთა შეასრულოს შეკვეთის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

5.2 იმ შემთხვევაში თუ „მყიდველი“ „გამყიდველს“ განუსაზღვრავს 5.1 მუხლისგან განსხვავებულ (24 საათზე მეტი) შეკვეთის შესრულების ვადას, „გამყიდველი“ ვალდებულია შეასრულოს შეკვეთა აღნიშულ ვადაში.

5.3 გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე მხარეები აცხადებენ თანხმობას, რომ 5.1. პუნქტში მოცემული მიწოდების ვადები შეიძლება შეიცვალოს (მიწოდების ვადის შემცირება).

5.4. „გამყიდველი” აცხადებს თანხმობას, რომ „მყიდველმა”, შეიძლება არ შეიძინოს “გამყიდველის” მიერ შეთავაზებული საქონლის სრული რაოდენობა/დასახელება რაც მითითებულია ხელშეკრულების დანართ N1-ში.

5.5. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის განმავლობაში არაუგვიანეს 18.30 სთ-ისა. 18.30 სთ-ის შემდეგ “მყიდველი” უფლებამოსილია უარი თქვას საქონლის მიღებაზე.

5.6 „მყიდველი” უფლებამოსილია „გამყიდველის” მიერ შეკვეთის შესრულებამდე მოახდინოს შეკვეთის კორექტირება (მისაწოდებელი საქონლის ოდენობის, ასორტიმენტის დამატება ან გამოკლება, ასევე შეკვეთის გაუქმება). შეკვეთის კორექტირების შემთხვევაშიც მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების 5.1. პუნქტის შესაბამისად.

5.7. ყოველი მიწოდებისას სასაქონლო ზედნადები (შემდგომში ზედნადები) ან/და ანგარიშ-ფაქტურა უნდა გაფორმებდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.8. თუკი საქონლის მიღების შემდეგ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტები შეცდომით, ან არასათანადო ფორმითაა გაფორმებული, `“მყიდველი” ატყობინებს აღნიშნულის შესახებ “გამყიდველს”, რომელიც ვალდებულია არაუგვიანეს მეორე დღისა მოახდინოს ახალი დოკუმენტების წარმოდგენა და ძველის გაუქმება/კორექტირება.

5.9. საქონლის ფაქტობრივი მიწოდება უნდა განხორციელდეს სასაქონლო ზედნადების გაფორმების დღეს.

5.10. საქონლის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები უნდა იმყოფებოდნენ ტექნიკურად გამართულ, სუფთა მდგომარეობაში, უნდა პასუხობდნენ ჰიგიენურ ნორმებს და იყვნენ ვარგისნი განსაზღვრული კატეგორიის საქონლის ტრანსპორტირებისთვის.

5.11. `მყიდველი”-ს წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის გადმოტვირთვა ამისათვის სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას და დროს.

5.12. საქონლის შეკვეთა ხორციელდება ელ-ფოსტის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა „გამყიდველის” მიერ შეკვეთის მიღების დადასტურების საშუალებას.

მუხლი 6. საქონლის მიღება-ჩაბარების შესახებ

6.1. „მყიდველი”-ს წარმომადგენელი “გამყიდველი”-ს წარმომადგენლის თანდასწრებით უზრუნველყოფს საქონლის დათვალიერებას და გადმოტვირთვას „მყიდველი”-ს საწყობში, ან სხვა მითითებულ ადგილას. მიწოდებული საქონლისათვის შენახვის პირობების შექმნა (განთავსება, ტემპერატურა, მზის სინათლისაგან დაცვა) წარმოადგენს „მყიდველის” ვალდებულებებს და უნდა შეესაბამებოდეს საქონლის შენახვისათვის დადგენილ პირობებს.

6.2. საქონლის მიღებისას, „მყიდველი” შეამოწმებს საქონლის შესაბამისობას წარდგენილ დოკუმენტებთან და ხელშეკრულებასთან მიმართებაში. მიწოდებული საქონლის ღირებულებისა და მიღების ფაქტი ფიქსირდება და დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტებითა და „მყიდველი”-ს წარმომადგენლის ხელმოწერით ზედნადებზე ან/და ა/ფაქტურაზე ან/და მიღება-ჩაბარების აქტზე. „მყიდველი” უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი და არ მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტს, თუკი საქონლის რაოდენობა, ასორტიმენტი არ შეესაბამება მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს, შეფუთვა, ეტიკეტირება, ხარისხი და ვარგისიანობის ვადა არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებსა და „გამყიდველის” მიერ შემოთავაზებულ პირობებს.

6.3. „მყიდველის” უფლებამოსილებას საქონლის მიღებასთან, შემოწმებასთან, ანგარიშსწორებასთან და მონაცემების შედარებასთან დაკავშირებით, ახორციელებს „მყიდველის” უფლებამოსილი თანამშრომელი (მენეჯერი, საწყობის უფროსი, მონიტორინგის თანამშრომელი, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, სახელმწიფო შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის თანამშრომელი და სხვა).

6.4. „გამყიდველის” უფლებამოსილებას საქონლის გადაცემასთან, შემოწმებასთან, ანგარიშსწორებასთან და მონაცემების შედარებასთან დაკავშირებით, ახორციელებს `გამყიდველის” უფლებამოსილი თანამშრომელი (დისტრიბუტორი, ვაიზერი, მენეჯერი, ბუღალტერი და სხვა).

მუხლი 7. ანგარიშსწორების შესახებ

7.1. საქონლის ღირებულების ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

7.2. ანგარიშსწორება მოხდება შემდეგი წესით: ყოველი თვის 15 (თხუთმეტი) და 30 (ოცდაათი) რიცხვებში (თებერვალის თვეში - 15 და 28) „მყიდველი" „გამყიდველს" გადაუხდის წინა (ბუღალტრული ურთიერთშედარებიდან შემდგომ ურთიერთშედარებამდე) პერიოდში მიწოდებული საქონლის ღირებულებას სრულად, აღნიშნულ თარიღებამდე 5 (ხუთი) დღით ადრე მხარეთა შორის ურთიერთშედარების აქტის გაფორმების შემთხვევაში და მოცემულ აქტში მითითებული დავალიანების შესაბამისად.

7.3. თუკი 7.2. პუნქტში მოცემული ანგარიშსწორების დღე(ებ)ი ემთხვევა არასამუშაო დღე(ებ)ს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.4. მიწოდებული საქონლის ღირებულების და ოდენობის სადაოდ გახდომის შემთხვევაში, ძირითად საანგარიშო დოკუმენტს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულება, `მყიდველის" და `გამყიდველის" ან მათი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ა/ფაქტურა ან/და მიღება-ჩაბარების აქტი და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

7.5. `მყიდველისა" და `გამყიდველს" შორის ანგარიშსწორებამდე 5 (ხუთი) დღით ადრე უნდა მოხდეს ბუღალტრული ურთიერთშედარების აქტის შედგენა.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შესახებ

8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს:

8.1.1. შპს "სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის" ხარისხის მართვისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი/თანამშრომელი ან/და დირექტორის მიერ გამოყოფილი შესაბამისი უფლებამოსილი პირი – „გამყიდველის" მიერ მიწოდებული საქონლის სახეობის, ასორტიმენტის, შეფუთვის, ეტიკეტირების, ხარისხის კონტროლი, საქონლის ვარგისიანობის ვადა, მიწოდებული საქონლის რაოდენობა, მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლების შეფასება შემოთავაზებულ პირობებთან.

8.1.2. შპს "სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის" - სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი თანამშრომელი - შეკვეთის მიცემისა და შესრულების ვადების , ასევე ხელშეკრულების სხვა პირობების კონტროლი.

8.1.3. შპს "სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის" - ფინანსური დეპარტამენტის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი თანამშრომელი - მიწოდებული საქონლის ფასის შესაბამისობა ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ფასთან.

8.2. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

8.3. კონტროლის განხორციელების ადგილია: საქონლის მიწოდების ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი "მყიდველის" არჩევანის მიხედვით.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1. ხელშეკრულების გაფორმებისას `გამყიდველმა" წარმოადგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია #0000000 გაცემული 2015 წლის 000000 0000000 ლარის უზრუნველსაყოფად.

9.2. „გამყიდველის" მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადა არანაკლებ 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

9.3. „გამყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევა, ხელშეკრულების დანართი N1_ის საქონლის ტექნიკურ სპეციაფიკაციასთან შეუსაბამო საქონლის მოწოდება, ასევე საქონლის ტრანსპორტირების პირობების დარღვევა, საქონლის ეტიკეტირების წესების დარღვევა, განსხვავებული ბრენდირების ტარის გამოყენება, ხელშეკრულების 10.4.1 მუხლის დარღვევა და „გამყიდველის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სხვაგვარად დარღვევა) შემთხვევაში, „მყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების

უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

9.4 იმ შემთხვევაში თუ „გამყიდველი“ რაიმე ფორმით უარს აცხადებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევსათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდაზე და „მყიდველს“ არ გააჩნია შესაძლებლობა მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა 10.6 მუხლის მიხედვით, „მყიდველი“, როგორც ბენეფიციარი, უფლებამოსილია მიმართოს გარანტორს და მოითხოვოს პირგასამტეხლოთი დაკისრებული თანხის ანაზრაურება.

9.5. „გამყიდველის” მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ „მყიდველი” მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში „გამყიდველის” წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

9.6. „გამყიდველისაგან” დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში „მყიდველი” „გამყიდველის” მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობის შესახებ (რეკლამაცია)

10.1 იმ შემთხვევაში, თუ „მყიდველი”, „გამყიდველს“ არ გადაუხდის მიწოდებული საქონლის ღირებულებას ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და ასეთი გადაუხდელობა გრძელდება „გამყიდველის” მიერ აღნიშნულის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 10 (ათი) სამუშო დღეზე მეტი ვადით, `გამყიდველი” უფლებამოსილია `მყიდველს” დააკისროს გადასახდელი ძირითადი თანხის 0,3 % ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ `გამყიდველი” არ განახორციელებს პროდუქციის მოწოდებას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ან/და განახორციელებს არასრულად, „მყიდველი” უფლებამოსილია გამყიდველს დააკისროს ჯარიმა მოსაწოდებელი საქონლის 1%, მაგრამ არანაკლებ 200 (ორასი) ლარის, ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3 თუ „მყიდველი” საქონლის მიღების შემდეგ, მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა აღმოაჩენს, რომ მიღებული საქონლის სახეობა, ასორტიმენტი (მ.შ კატეგორიები / ნაჭრები, უძვლო და ა.შ), გრამაჟი, შეფუთვა (მ.შ განსხვავებული ბრენდირების ტარის გამოყენება), ეტიკეტირება, ორგანოლეპტიკური თვისებები (ფერი - ვარდისფერი, სუნი - სასიამოვნო, კონსისტენცია - შესაბამისი), ტრანსპორტირების პირობები ან ხარისხი არ შეესაბამება არსებულ სტანდარტებსა და მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს, „მყიდველი“ უფლებამოსილია „მყიდველის” ხარისხის მართვისა და მონიტორინგის სამსახურის დასკვნის, ასევე უშუალოდ საქონის მიმღები პირის წერილობითი მოხსენების გათვალისწინებით სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარატმენტის თანამშრომლის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათის, საფუძველზე დოკუმენტის შედგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა „გამყიდველს” წარუდგინოს რეკლამაცია (პრეტენზია) წერილობითი ფორმით ან/და ელ-ფოსტის მეშვეობით და დააკისროს პირგასამტეხლო 500.00 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ასეთი ფაქტის ყოველი განმეორების შემთხევავში “მყიდველი” უფლებამოსილია დაარიცხოს “გამყიდველი”-ს პირგასამტეხლო 1 000.00 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

10.4 მყიდველი ასევე უფლებამოსილია გამყიდველს მოსთხოვოს მოწოდებული საქონლის ნიმუშის აღება და აკრედიტირებულ ლაბორატორიაში შემოწმება, რასაც დაესწრებიან ხელშეკრულების მხარეები. ლაბორატორიულ შემოწმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს აანაზღაურებს “გამყიდველი”.

10.4.1 საქონლის ლაბორატორიული შემოწმების პირობები - საანალიზე ნიმუშის დასახელება, აღების ადგილი, თარიღი, შესამოწმებელი პარამეტრები, ლაბორატორიული დასკვნის წარმოდგენის ვადა და სხვა პირობები განიზაზღვრება წერილობით „მყიდველის“ მიერ. წერილში მითითებული პირობების დაცვა სავალდებულოა „გამყიდველისათვის“.

10.4.2 ამ ხელშეკრულების 10.4.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში (მ.შ ვადების დარღვევა ან/და უარის თქმა ლაბორატორიული კვლევის ჩატარებაზე) „მყიდველი“ უფლებამოსილია ყოველ ჯერზე გამყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. ასეთი ფაქტის განმეორების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა ორმაგდება.

10.4.3 ***უარყოფითი ლაბორატორიული დასკვნის*** წარმოდგენის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია პრეტენდენტს დააკისროს პირგასამტეხლო 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით თითოეულ კვლევის ობიექტზე (საქონელზე).

10.4.3.1 ***უარყოფითად ჩაითვლება*** ლაბორატორიული დასკვნა, სადაც კვლევის ობიექტის (პროდუქტის) ნებისმიერი პარამეტრი / მონაცემი არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, სტანდარტებს, სურსათის ეროვნულის ნორმებს და წინამდებარე ხელშეკრულებას.

10.5 „გამყიდველი" ვალდებულია რეკლამაციაზე დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება, გამოასწოროს მასში მითითებულ საქონელთან დაკავშირებული ხარვეზები (მოთხოვნები), მყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაღების გარეშე და გადაიხადოს დაკისრებული პირგასამტეხლო, ხოლო თუ რეკლამაციას მიიჩნევს უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად, შესაბამისი წერილობითი ფორმით აცნობოს "მყიდველს" არაუგვიანეს რეკლამაციის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში. შეუთანხმებლობის შემთხვევაში „გამყიდველი" უფლებამოსილია საკუთარი ხარჯით მიმართოს შესაბამის უფლებამოსილ პირს/ორგანოს (სპეციალისტი, ექსპერტი), წუნდების მიზეზების გამოსარკვევად. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

10.7 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 3.9 მუხლით გათვალისწინებულ დასკვნას არ წამოადგენს დადგენილ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო მომწოდებელს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ასეთი ფაქტის განმეორების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა ორმაგდება, შემსყიდველის მხრიდან ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

10.8 „მყიდველი" უფლებამოსილია „გამყიდველისათვის" პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, ანგარიშსწორებისას, „გამყიდველს" გამოუქვითოს პირგასამტეხლოს ოდენობა, რაც ჩაითვლება `გამყიდველის" მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდად.

10.9 იმ შემთხვევაში, თუ „გამყიდველის" მიერ ამ ხელშეკრულებით მოწოდებული საქონელი აღმოჩნდება უხარისხო ან/და დადგენილ ნორმაზე ნაკლები და რის გამოც „მყიდველს" კვებითი მომსახურების შემსყიდველმა მხარემ დაეკისრა პირგასამტეხლო, „მყიდველი" უფლებამოსილია რეგრესის წესით მოითხოვოს „გამყიდველისაგან" ზიანის ანაზღაურება, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შესახებ

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ ობიექტურ გარემოებას, რომლის გამოც ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლოვობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებოთ.

11.2 თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების მისადაგებაზე არსებულ გარემოებებთან, ასევე შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

11.3 აღნიშნული ხელშეკრულებისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები გამორიცხავს ხელშეკრულების პირობების მისადაგებას ეროვნული ვალუტის გაუფასურებას / ვალუტის კურსის მნიშვნელოვნად ზრდას, ასეთ დროს ეროვნული ვალუტის კურისის გაუფასურებით გამოწვეული რისკი ეკისრება დაზარალებულ მხარეს, შესაბამისად აღნიშნული მიზეზით / საფუძვლით ხელშეკრულების პირობების შეცვლის და ახალ გარემოებებთან მისადაგების მოთხოვნა დაუშვებელია მხარეთათვის.

მუხლი 12. ფორს-მაჟორის შესახებ

12.1 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი) არის გარემოებები, რომლებიც წარმოიშობა მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად და, მიუხედავად მხარეთა მიზანმიმართული მოქმედებებისა, შეუძლებელი ხდება მათი დაძლევა. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება: სტიქიური უბედურებები, გადაულახავი ბუნებრივი მოვლენები, ომი და ა.შ. რაც დასტურდება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

12.2 მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის ან თავისი ვალდებულებების არადროული შესრულებისათვის დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში.

12.3 მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველ ძალაზე, ვალდებულია წერილობითი ფორმით ან ინფორმაციის ელ-ფოსტის, ტელეფონის ან ფაქსის გაგზავნით შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შეჩერდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების მთელი დროის მანძილზე. მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება აღნიშნული გარემოებების მოქმედების შეწყვეტის მომენტიდან.

12.5 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 35 დღეზე მეტი ხნით, თითოეული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, აღნიშნულის შესახებ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.

13.2 **ხელშეკრულება მოქმედებს 2016 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.**

13.3 ხელშეკრულება ერთ-ერთი მხარის წერილობითი განცხადებით შეიძლება შეწყდეს ვადამდე შემდეგ შემთხვევებში:

(ა) მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერ დროს; (ბ) მყიდველის მიერ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში; ხელშეკრულება ვადამდე შეწყვეტილად ითვლება მეორე მხარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობითი მოთხოვნის გადაცემიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ. (გ) „მყიდველმა“ შეწყვიტა, ან შეაჩერა თავისი საქმიანობა; (დ) მიმდინარეობს “მყიდველის” ან „გამყიდველის” გადახდისუუნარობის საქმის წარმოება; (ე) “მყიდველმა” ანგარიშსწორების განხორციელების ვადას გადააცილა 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეზე მეტი ვადით; (ვ) “გამყიდველმა” არაერთგზის (2-ჯერ ან მეტჯერ) დაარღვია ხელშეკრულების

13.4 ხელშეკრულების ვადის გასვლით ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში “მყიდველი” ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის ძალაში შესვლიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში სრულად გადაიხადოს (დაფაროს) „გამყიდველის“ წინაშე არსებული დავალიანება. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა გამოწვეულია 13.3 მუხლის (ვ) პუნქტით, ასეთის არსებობის შემთხვევაში „მყიდველის” მიერ ასანაზღაურებელი თანხის გადახდის ვადებზე შეთანხმება ხდება დამატებით სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებების შესახებ

14.1 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

14.3 „მხარეები“ ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულების“ შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა “ხელშეკრულების” შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

14.4 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

14.6 ყოველი მხარე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს იმ გარემოებების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა მხარის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე: რეორგანიზაცია, რეკვიზიტების შეცვლა, გადახდისუუნარობა ან გადახდისუუნარობის ალბათობა, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვა და სხვა. მხარე, რომელიც არ ატყობინებს ან არადროულად ატყობინებს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი.

14.7 „ხელშეკრულების“ რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად „ხელშეკრულების“ ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი

დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა "ხელშეკრულებით" (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

14.8 მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის შემდეგ ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად.

14.9 იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ხელშეკრულება ავალდებულებს მხარეებს დაიცვან წერილობითი ფორმა, ეს ნიშნავს, რომ დოკუმენტები უნდა იყოს შედგენილი ქაღალდზე და ხელმოწერილი ამისათვის უფლებამოსილი პირების მიერ. სხვა შეტყობინებები შეიძლება გადაიცეს ელ. ფოსტის, ტელეფონისა ან ფაქსის საშუალებით.

14.10 მხარეთა მიერ ელ.ფოსტით გაგზავნილ შეტყობინებას აქვს იურიდიული ძალა და სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთა შორის. ელ.ფოსტაზე `მყიდველის" მიერ წერილის/შეტყობინების მიღება უნდა დადასტურდეს ამავე ელ.ფოსტაზე შესაბამისი პასუხით.

14.11 გამყიდველი ადასტურებს, რომ მას ჩაბარდა ხელშეკრულება მისი დანართებითურთ.

14.12 გამყიდველი აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

14.13 მხარეები შეეცდებიან ყველა წარმოშობილი დავა და უთანხმოება გადაწყვიტონ ურთიერთ მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ დავა არ გადაწყდება მისი წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, მხარეები იტოვებენ უფლებას თავიანთი ინტერესების დასაცავად მიმართონ საერთო სასამართლოებს.

14.14 პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება „მხარეთა" მიერ მისი გასაჩივრების მიუხედავად, დაუყოვნებლივ შედის ძალაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე–1[1] პუნქტის შესაბამისად.

14.15 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად – თითო ეგზემპლარი ყოველი მხარისათვის გადასაცემად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

გამყიდველი	**მყიდველი**
შპს „-------"	**შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა"**
საიდენტიფიკაციო კოდი: -	**საიდენტიფიკაციო კოდი:** 404 482 537
მისამართი: -	**მისამართი:** ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12
ბანკის დასახელება: -	**ბანკის დასახელება:** სს „თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: -	**ბანკის კოდი:** თ ჩ 22
ანგარიშის ნომერი: -	**ანგარიშის ნომერი:** GE 58 TB73 5343 6080 1000 04
საკონტაქტო ტელეფონი:	**საკონტაქტო ტელეფონი:**
დირექტორი: -	დირექტორი: **მირანდა მანჯგალაძე**
ხელმოწერა: ----------	ხელმოწერა: ----------

2015 წლის ---- -ის N --ხელშეკრულების დანართი

#	საქონლის დასახელება	ტექნიკური სპეციფიკაცია	განზ.	ერთ. ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)	მიწოდების პირობები
1						
2						
3						
4						
5						

პრეტენდენტის
ხელმოწერა
(ბეჭედი)